რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებ-ში, კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროებისა“ რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გვრარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელ წლისა | 9 მან. | სამის თვისა | 3 მან. |
| ექვსი თვისა | 5 მან. | ერთის თვისა | 1 მან. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., ასო-მოთავსებულით ასოზე ნახევარი კაპ., ნუმერაციის ასოთი სტრიქონზე 8 კაპ.

თუ ხელმოწერები მოითხოვს, შეიძლება განცხადებები და შემოკლებული დაბეჭდოს გამოცხადების წერილის რედაქცია ფასით გარ დაფურთ ასუურის.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ დირს ერთი შაური.


ხუთის თვის ხელის-მოწერა.

პირველის აგვისტოდამ ამ 1882 წლის დამლევამდის

## „დროება“

ღირს გაგზავნით 4 (ოთხი) მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში—გოლოვინის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქუთაისში—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція „Дроэба“.

## ტელეგრამმა

(„სამხრეთ-რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურღი, 20 აგვისტო. „მთავრობის მოამბეში“ დაბეჭდილია მეფის ბრძანება საქალებო საექიმო კურსების მოსპობაზედ, რადგან ეხლა ეყოფა ქალები ამ კურსებზედ შესასწავლად. ამ კურსების დამთავრებულ ქალებს ნება აქვთ ქალებისა და ბავშვების ექიმობაში იქონიონ პრაქტიკა.

გაზ. „ბირჟის უწყებათ“ ბეჭდვისა მმართებლობასთან დამოკიდების სტატიის გამო მიუგდა პირველი გაფრთხილება.

„ნოვოსტი“ გვატყობინებს, რომ ბეჭდვის წესდებათა გადასხედვა ენკენისთვემდე არ დაიწყობა.

ზოგიერთ უწყებათ წარმადგენა მისცეს პირებს, რომელთაც დამსახურებული აქვთ პენსია, დასტოვონ თავიანთი ადგილები, გამოვიდნენ სამსახურიდამ.

პეტერბურღის ბირჟა, 20 აგვისტ.

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა | 94 | 75 |
| მეორესი | 90 | 75 |
| მესამესი | 90 | 62½ |
| მეოთხესი | 90 | 12 |
| მეხუთესი | 89 | 87½ |
| აღმოსავლეთის პირვ. | 89 | 62 |
| აღმოსავლეთის მეორე | 89 | 25 |
| აღმოსავლეთის მესამე | 89 | 37 |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 8 | 23 |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | | |
|---|---|---|
| პირველი სესხის | 215 | „ |
| მეორე სესხის | 212 | 50 |

100 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი | 24 | 06 | პენსი |
| ჰამბურღი | 205 | 25 | ცენტი |
| პარიჟი | 252 | 75 | სანტიმი |
| ბერლინი | „ | „ | პფენიგი |

## დღიური

ჩვენ ნამდვილად გავიგეთ, რომ ქართული წარმოდგენები გაიმართებიან არწრუნის თეატრში. საზაფხულო თეატრის ანტრეპრენიორმა ბ. ფითოევმა მოითხოვა საღამოს ქირა 250 მანეთი. ცხადია, ვუწყით, რომ ამდენი ქირა ჩვენს დასს არ შეუძლიან მისცეს და ამისათვის იძულებულია ყველა წარმოდგენები გამართოს არწრუნის თეატრში. როგორც გავიგეთ ოთხშაბათობით აბონემენტის წარმოდგენები იქნებიან და კვირაობით ხალხური. რეპერტუარი, როგორც შარშან სეზონში, ისე წელსაც მომეტებულად ორიგინალურის, ჩვენის ცხოვრების პიესებისაგან იქნება შედგენილი.

* * *

ამ დღეებში გამოვა ჩვენი დაუღალავი ქართული წიგნების გამომცემლის ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, „ერობა“ მისი მნიშვნელობა და წესდება. თხზ. ნიკ. ნიკოლაძისა. ეს ჩინებული სტატია იყო დაბეჭდილი „კრებულში“. გამომცემელს სწორედ კარგი დრო შეურჩევია ამისთანა ბროშურის გამოცემისათვის. ყველას იმედი გვაქვს, რომ ერობა დღე დღეზედ ჩამოაწევს ჩვენში და ბევრს არც კი ესმის მისი დანიშნულება და წესდება როგორია. ნ. ნიკოლაძის თხზულება ამ საგანზე ყველასათვის გასაგებად და გარკვევით დაწერილია. თითონ გამოცემა ლამაზი და შნოიანია, არც ძვირი,—15 კ. ეგზემპლიარი.

* * *

გუშინ, 19 აგვისტოს, საღამოზედ პირველი სხდომა ჰქონდათ სომხის მასწავლებელთა ბაიანეს სასწავლებლის სახლებში. 130 კაცი და ქალი მასწავლებლები დაესწრო სხდომაზედ. ექიმმა მ. ს. შახ-პარონიანცმა გახსნა კრება მოკლე სიტყვით, თუ რა მნიშვნელობა აქვს და უნდა ჰქონდეს ამ გვარ კრებებს. ამის შემდეგ შეუდგნენ თავმჯდომარეთ ამორჩევას. ამორჩეულ იქმნენ ს. მანთენიანცი და ი. ჩიგიანოვი.

* * *

„შრომის“ უკანასკნელ ნომერში წავიკითხეთ ჩვენ იმერეთის სასულიერო მთავრობის განცხადება, რომელიც გამოუწვევია ზოგიერთ პირთა უმართებულო მოქმედებას გელათის მონასტერში. ამ შემთხვევაზედ „დროების“ ერთ წინა №-ში იყო ნათქვამი ორიოდე სიტყვა. მოკლე ხანში, მთავრობის თხოვნის გამო, ჩვენს გაზეთშიაც გადმოვბეჭდავთ ამ განცხადებას.

* * *

ამ ჟამად ჩვენ „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნთ საცავში ერთობ ბევრი ხელთ ნაწერი ძველი წიგნები შეგროვდა. ჩვენ შევიტყეთ, რომ საზოგადოების გამგეობას მოუხდენია და შეუდგენია სია ამ წიგნებისა. ჯერ-ჯერობით მცოდნე პირთ კიდევ ჰსურთ ზოგიერთი დამატებანი და შენიშვნანი ჩაურთონ ამ სიაში და შემდეგ, როგორც გვითხრეს დაიბეჭდება ეს სია.

* * *

დღეს ალექსანდროვის ბაღში დანიშნულია სეირნობა „ქალების ქველ-მოქმედ საზოგადოების სასარგებლოდ. კარგი იქნება, თუ სეირნობის განმკარგულებელნი ყურადღებას მიაქცევენ და ისეთი უწესოება არ გამეორდება, როგორც ამას წინად იყო, ამგვარივე სეირნობის დროს.

* * *

ქვემოდ ვბეჭდავთ ბ. ყაზბეგის წერილს „შრომიდან“. მცირეოდნად, შემდეგ „შრომისა“, ჩვენც შევამკლეთ ეს წერილი, მაგრამ ნამდვილი საბუთნი ყაზბეგისაგან თავის გამართლებასა აქ...

---

„დროების“ ფელეტონი, 22 აგვისტ.

### ჶორმოზინა

(მოთხრობა)

(ფრანცუზულიდამ ნათარგმნი.)

თებერვალში, 1527-სა წელსა, ყველიერის გახშირებულ ქეიფობის დროს, წმ. მარკის მოედანზედ, საშინელი სეტყვა მოვიდა უეცრად.

მოედანი სწრაფ დაცარიელდა. პატრიციები, ბურჟუა, დაბალი ხალხი—ყველანი გაიქცნენ თავის შესაფარებლად პროკურატის თაღის ქვეშ.

ჯგუფად მდგომნი რამდენიმე ყმაწვილი კაცები და ქალები წმ. მარკის ეკკლესიის კარებთან, შევიდნენ ეკკლესიაში.

იმათ შორის ხუთი თუ ექვსი ერია ახალგაზრდანი, გამოჩენილნი მრთელ ვენეციაში, ორი არშიყი ქალი, ნაქებნი სილამაზით და ჭაყარათული პატრიცია, ყმაწვილის ლამაზის ცოლით, რომლის ბრწყინვალე თვალები ცნობის მოყვარულობით გამოიყურებოდნენ მასკის ქვეშიდან.

ეკკლესიის კიბეზედ იდგნენ დაჩოქილნი რამოდენიმე მლოცველნი. უეცრად ვარაყიანი ალსავლის კარებიდან მოისმა ვილასიც მშვენიერი მაღალი ხმა. ყმაწვილმა პატრიციანკამ ცნობის მოყვარულობით მიიხედა და წინ წასდგა ნაბიჯი.

— ქადაგობს! — უთხრა მან თავის ქმარს წავიდეთ ყური დაუგდოთ, ხომ მაინც წვიმს.

ორმა ყმაწვილმა კაცმა რომ შენიშნეს ამ ქალის ნარნარი ტანი და შავი თვალების ბჭყვრიალი შეჰყვნენ ეკკლესიაში, რომ ეეშმაკნათ რამე.

არშიყი ქალებიც თავიანთის კავალრებით შევიდნენ იქ. ერთი იმათგანი, განთქმული ლამაზი, ტომაზ შევიდა პირველი.

— აი მადონნა!—წაიბუტბუტა ერთმა ბებერმა მლოცავმა და მოუხარა მუხლი მშვენიერს, ამაყს ტომაზის წამოსადეგ სანახაობას.

ბებრისაგან ნათქვამ სიტყვებზედ ტომაზამ კამკამის ხმით გადიკასკასა.

წარსული ღამე ისეთ ღრიანცელში განატარა, რომ თვით გამოჩენილმა ვარყვნილებმა, ყვავილებით დაუგვირგვინეს თავი და, როგორც თამადას, უწოდეს სახელად უსირცხვილო.

არშიყს სიცილზე მქადაგებელი შეჩერდა. შესდგა ნახევარ სიტყვაზედ და დაკვირვებით ათვალიერებდა. ამის შემდეგ უფრო მრისხანე კილოთი განისმოდა მისი ქადაგება წმ. მარკის დაბინდულ ტაძრის სივრცეში.

— თქვენ, მოსულნო აქ ღვთის სიტყვების დასაცინებლად, თქვენ, გარყვნილნო, შთანთქმულნი ბიწიერს ტკბილ-ვნებობაში, გამიგონეთ!— გაწაგრძელა მან ხელ ახლად, ხმა მაღლა ეხლანდელ გაფუჭებულ დროზედ....

ამ დროს მზის სხივმა შემოანათა ეკკლესიის ფერად-მინებიან ფანჯარებში.

ხალხმა იწყო გალაგება...

—

დარჩა მხოლოდ ტომაზა.

დაყუდებული მოაჯირზედ, ხარბად ისმენდა მქადაგებლის სიტყვებს, რომლის მჭევრ-მეტყველება უნებლიედ იზიდამდა მას. ის უხატავდა ჯოჯოხეთის საშინელებას, რომელიც ელის ცოდვილებს და ამ სიტყვების მოსმენა აძრწუნებდა არშიყი ქალის გულსა.

ქადაგებამ გასტანა ხანგრძლივ. ტომაზა აღარ უგდებდა ყურსა. ის დარჩა როგორღაც გაქვავებულსავით. ეკკლესიის მოკირწყლულ ქვაზედ მიმავალმა ფეხის ხმამ გამოაფხიზლა ის. თავჩაღუნული თითქმის სახე დაფარულის

დამაც სჩანს. ვწუხვართ, რომ ბ. უაზბეგს, ერთ წარმომადგენელთაგან ჩვენის თიატრისა, ამ თითქმის ახალის საქმისა ჩვენში, ესეთს არა წმინდა შემთხვევაში თავის გამართლება დასჭირდა...

„მართალია უაზბეგი ჩავიდა ფოთში და გამოაცხადა არა წარმოდგენა, არამედ კონცერტი. მართალია უაზბეგმა გადასცა ბილეთები სხვა-და-სხვა პირებს გასასყიდათ და მართალია ეს წარმოდგენა გადაიდვა დანიშნულს დღეს. მაგრამ გადადების მიზეზი უაზბეგი კი არ იყო, ისევ ის საზოგადოება იყო, რომელიც ითხოვდა სრულს წარმოდგენებს. მე იქამდისინ დავალებული და პატივცემული ვარ ფოთის საზოგადოებისაგან, რომ თუ რომელიმე საშუალება ნებას მომცემდა, ჩემს მოვალეობად ვრაცხავდი საზოგადოების სურვილი აღმესრულებინა. ამის გამო მე გადავწყვიტე, რომ რაც უნდა დამჯდომოდა გამომეწერა ტფილისიდგან არტისტები, რომლისათვისაც მივწერე ტელეგრამმა ქ. ანდრონიკოვისას, ცაგარელს და ბაბუნიას. პასუხად მომივიდა, რომ ანდრონიკოვისა კახეთში წასულიყო და ცაგარელი-კი მატყობინებდა ტელეგრამით, ფოთში მოსულით № 418, რომ ის თავის ცოლით (ბაბუნია) უეჭველად მოვიდოდა.

„ამ ტელეგრამმა კლუბში სწორედ კონცერტისთვის დანიშნულს დღეს მომივიდა, იმ დროს როდესაც საკმაო ხალხი იყო შეყრილი და ყველამ გამომიცხადეს სურვილი, რომ კონცერტი გადამედო და შემეცვალა წარმოდგენით. ამის გარეთ მირჩიეს, რომ „პარკში“ (ტყე) ამეშენებინა სცენა, სადაც ყველანი მიიღებდნენ შრომას, რომ დიდი ხალხი დასწრებულიყო. ამ მრჩეველებთ შორის დავასახელებ: მღვდელს მაჭაროვს, ი. ყიფიანს, თ. ზედევანოვს, ბ. პალანდარიშვილს, თ. ჩიქოვანს, პარკის მოიჯარადრეს, რომელიც მუქთად გვაძლევდა ადგილს და გვპირდებოდა უსასყიდლოდ ყოველ გვარს შემწეობას, ბ. ბუჯუშვილს და იმის მოიჯარადრეს, რომელიც ფაცრების თხოებას მუქთად გვპირდებოდა და სხვათ, რომელთ სახელები არ მახსოვს და არც არის საჭირო მოსაყვანად. ესენი ყველანი საზოგადოების სახელით ლაპარაკობდნენ და მე ჩემს მოვალეობად ჩავსთვალე საზოგადოების სურვილი ამესრულებინა. მით უფრო გავბედე ეს, რომ დაიმედებული ვიყავ ბ. ცაგარლის ტელეგრამით და მაშინვე მოვაყვანინე დურგლები, მოვურიგდი თეატრის აშენებას და კონცერტი გადავსდე.

„ხელის ხელ ამასთან, მაშინვე შევადგინე განცხადება, რომ კონცერტი საზოგადოების სურვილისამებრ გადაიდება. მადა არ ყოფილა დანიშნული შემდეგის წარმოდგენისა, რადგანაც გადაწყვეტით არ ითქმოდა, როდის მოვათავებდით თეატრს. ამავე განცხადებით საზოგადოებას ეუწყებოდა, რომ მსურველთ შაეძლოთ წარმოედგინათ ბილეთები და ფული მიეღოთ უკან, და ვინც მოისურვებდა ბილეთების დატოვებას, იმათი ბილეთები შემდეგი წარმოდგენისთვის ჩაითვლებოდა. ესევე განცხადება იყო წარდგენილი პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმსრულებელთა ბ. პალანდარიშვილთან და ყველა იმ პირებთან, რომელთაც ჰქონდათ გასასყიდად ჩვენი ბილეთები და იმ პირთ პატიოსნებაზედ ვამდებ, თუ ცოტათიც არის სამართლის გაბრუნდება გამოაცხადონ საქვეყნოთ.

„კონცერტისთვის რაც გამოცხადებული გვქონდა იმის შესასრულებლად საკმარისნი ვიყავით და გადადების მიზეზად ისიც არ მოიყვანება, როგორც შეიძლება ზოგიერთმა იფიქროს, რომ გამოცხადებულის საღამოსთვის საკმაონი არ ვიყავით.

„მოვიდა ბ. ცაგარელისაგან დანიშნული დრო, მაგრამ ის არ მოვიდოდა. მე ეს მივაწერე იმათ ფულის უქონლობას და ხელ-ახლად გაუგზავნე ტელეგრამმა, რომ შაეტყობინა ქუთაისში, სადაც დეკორაციის საშოვრად და კიდევ არტისტების მოსაწვევად მივდიოდი, მოუსვლელობის მიზეზი და თუ ეჭირვებოდა რამე საგზაოდ ისიც შაეტყობინა, მაგრამ ჩემი ტელეგრამმა უპასუხოდ დარჩა. ჩემი ქუთაისში ჩამოსვლა და ამის მიზეზი მე საიდუმლოდ არა მქონია გახდილი და თუმცა საჭიროდ არ დიმინახავს ქუჩა-ქუჩა ყვირილი, მაგრამ დაახლოებულ პირებისათვის კი არ ყოფილა ფარულად. მაგალითად იცოდა მღვდელმა მაჭაროვმა, ი. ყიფიანმა, ბ. მესხიევმა, რასაკვირველია, ბ. ბ—ემ და სხვათ, ვისთანაც ლაპარაკი შემხვდა. ქუთაისში მე ველოდი რაოდენიმე ხანს ცაგარელის პასუხს, რათა იმ რიგად მოვქცეულიყავ, რა რიგი პასუხიც მოვიდოდა. ამ ლოდინით ფოთში არა ხდებოდა-რა, რადგანაც თეატრი შენდებოდა და ზედამხედველობა ჩემს ამხანაგებსაც შაეძლოთ.

„მაგის გარეთ ქუთაისიდგან მე მივწერე ტელეგრამმა, რომ ქუთაისში ვიყავი და ველოდი ცაგარელის პასუხს და რა წამს საქმეებს გავათავებდი, ჩამოვიდოდი.

„ქუთაისში რომ მე ვეძებდი ქალებს ფოთის საზოგადოების სურვილის დასაკმაყოფილებლად მე და გიჩვენებთ ბ. ჩიკვაიძის ცოლზედ, რომელიც წვრილ-შვილობის გამო ვერ წამოვიდა, მერე ძლდიაშვილის ქალებზედ, რომელთაც სახლში ავადმყოფი უწვათ, კიდევ ჭიჭინაძის ცოლზედ, რომელსაც სამწუხაროდ შვილი გარდასცვლოდა.

„რაც შაეხება ალ.-მესხიევის გაჭირვებას, რომელზედაც ისე გულ-მტკივნეულად ლაპარაკობს „შრომის“ რედაქცია, თქვენ შეგიძლიანთ შეამოწმოთ იმ ანგარიშით, რომელიც მე ეხლა ხელში მიჭირავს.

„სამს კვირაში ფოთის სასტუმროში ცხოვრების დროს მან დახარჯა 178 მანეთი, მაშინ როდესაც ბ. ბ—ეს ამავე ხანში სულ აქვს დახარჯული 49 მან.

„შრომის“ შენიშნვა ამბობს, რომ, „როგორც ამბობენ ბ. უაზბეგს 300 მანეთი მართებს საფრანგეთის სასტუმროსი და ამ ფულში არის დაგირავებული სათეატრო ტანისამოსი.

„რომ დრამატიული საზოგადოების ტანისამოსი არავითარ განსაცდელში არა ყოფილა და არც არის, მტკიცდება იმ ტელეგრამით, რომლითაც აუწყა ამ საზოგადოებისაგან გამოგზავნილმა პირმა ფოთიდგან, და რაც შაეხება 300 მანეთს ვალს ეგეც ამკარა ცილის წამება არის.

## „დროების“ კორრესპონდენცია

ქვათახევი, 15 მარიამობისთვეს. მოგეხსენებათ, რომ 15 მარიამობისთვეს მოდის ღვთის-მშობლობა, რომელსაც დღესასწაულობს მთელი მართლ-მადიდებელი ეკკლესია. ეს დღე საქართველოს ეკკლესიასაცა რაღაც სასიქადულო დღესასწაულად მიაჩნიათ. საქართველოს ბევრს მხარეებში აღშენებულია ძველი ეკკლესიები და მონასტრები, სადაც ღვთის-მშობლის ხატები ასვენია.

ერთი ამ გვარ ძველთაგან-ძველი ეკკლესიათაგანი არის ქვათახევისა ეკკლესია, რომელიც თავის მდიდარის ისტორიულის მნიშვნელობითა და ღირსებით ბრწყინვალედ მოსჩანს საქართველოს საეკკლესიო ისტორიაში. ქვათახევის მონასტერი ერთი ამ მონასტერთაგანია, რომლის არსებობითა და ხსენებით საქართველოს საეკკლესიო მხარე ყოველთვის დიდს პატივისცემაში და ყოველის მორჩილებისაგან და მონებისაგან განთავისუფლებულ იყო.

ამ ეკკლესიების სასწავლებლებიდამ ფუძნდებოდა სწავლა, ქადაგება და მყარდებოდა ისეთი წესები, რომლიდგანაც აღმოსცენდებოდა საქართველოს ეკკლესიის თვით მდგომარეობითი ღირსება, მნიშვნელობა და პატივი, რომლის არსებობას გვარზედაც დიდი ზედმოქმედება და გავლენა ჰქონდა.

---

კაპიშონით, გულხელ დაკრეფილ განიერს სახლებიან ანაფორის ქვეშ, წყნარად გაიარა იმის გვერდით მქადაგებელმა.

ტომაზამ ერთი უეცრად შეჰკივლა და დაეშვა მის წინ მუხლებზედ.

— მამაო! მამაო! — შეჰყვირა მან. მომისმინეთ!

მღვდელი შესდგა.

— რა გსურს შვილო ჩემო?—ჰკითხა მან.

— აღსარება!

— ზამომყევი მე!

ორთავენი შევიდნენ საალსარებოში.

მღვდელი ჩამოჯდა ხის სკამზედ, გარდიგდო თავიდგან კაპიშონი და მიუახლოვა ყური ყმაწვილ ქალს.

ღრმა სიბნელე მეფობდა ეკკლესიაში; მხოლოდ ალსავლის კარებიდან მოჩანდა წითელი შუქი ანთებულის სანთლებისა.

— მე ტომაზა ვარ, ცოდვილი ტომაზა! — ესრედ დაიწყო ქალმან. მე ვარ ნახევრად მაინც მონაწილე, რაც კი ცოდო მოხდება ვენეციაში. მე ჩირქიანმა დაღუპულმა დედა-კაცმა.... მე მოვისმინე ეხლა თქვენი სიტყვები.... ოჰ, რა რიგად ვშიშობ! რა საშინელებაა, ღმერთო ჩემო!

და შიშით მიეკრა საალსარებოს კუნჭულს.

— სთქვი შვილო ჩემო, სთქვა მღვდელმა მალალის, გულის შემარყეველის ხმით. მოწყალება ღვთისა განუზომელია, მან მომცა მე ძალა, განვარჩიო ცოდვანი. მოინანიეთ იგინი უშიშრად!

— ოჰ, ღმერთო! რომლიდგან დავიწყო? მე მრცხვენიან!.... ზანა მრთელი ჩემი ცხოვრება უნდა ვიამბოთ... ეჰ... იყოს ნება ღვთისა!... მისმინეთ:

— პირველ ჩემ საყვარლად იყო ლორენცო ბორდონი—თითქმის ბავშვი. ის იყო თექვსმეტის წლისა, მე თხუთმეტისა. ის იყო შვილი პატრიციისა, რომელსაც არხთან დიდი პალაცო ჰქონდა... ერთხელ მივცურავდი სან-პაოლოს მეიდნისაკენ, რომ გამეყიდნა იქ თევზი; უეცრად ჩემს ნავს დაეჯახა გონდოლა და გადააბრუნა ისა. მე ჩავარდი წყალში, მაგრამ კარგად ვიცოდი ცურვა, მალე დავეწიე გონდოლას და ვსტაცე ხელი. მე კიდეც მეცინებოდა და თან მენანებოდა ხელიდან გაცურებული თევზი, რომელიც შეადგენდა მთელის დღის მამის ჩემის ნამუშავარს. იმ წამში ვიღაც შეეხო ჩემს ბეჭებს. მე ავახილე თვალები და მხოლოდ მაშინ დავინახე, რომ გონდოლა იყო ატლასზე ოქრომკედის ქსოვილი ფარჩით გამოკრული. ჩემს წინ იდგა ყმაწვილი კაცი.

იანვარი იყო და ციოდა. ჩემი თმა და ტანთსაცმელი სულ დასველებული იყო.

— დამშვიდდი, საყვარელო! მითხრა მე ყმაწვილმა კაცმა. მე დავსჯი მენავეს და შენც მიიღებ ქისას ოქროებით, რომ იყიდო შენთვის სამაგიერო ნავი.

მე გავიღიმე ნიშნად მადლობისა, მაგრამ ჩემი კბილები ძაგძაგებდნენ... საშინლად ციოდა.

ყმაწვილმა კაცმა უბრძანა რაღაც მენავეებს და რამდენსამე წამში შევედით ვიწრო ნავთსადგურში, გარე შემოზღუდულს შავის კედლებით. ერთს იმ კედელში აღმოჩნდა პატარა კარები.

გონდოლა დადგა აქ. ერთმა მენავემ ამიყვანა ხელში და წამიყვანა საიდუმლო კარებისაკენ. ყმაწვილი კაცი მდუმარებით გამოგვყვა თან. ჩვენ ავდიოდით ვიწრო, ხვეულ კიბეზედ. შიშისა და სიცივისაგან გონება დავკარგე.

როდესაც გონს მოვედ, ვნახე ჩემი თავი სოსან-მწვანე ყვავილებით ნაქსოვ ფარჩით გაკრულს ოთახში.

ეს პატივი იყო იმაში, რომ საქართველოს ეკკლესია ყოველთვის თავისუფლად შთებოდა და მისი მცირედი უფლება მთელს ქრისტიანობაში საქები იყო. ქართველებიც ამიტომ პატივს სცემდნენ ქართველ ეკკლესიებსა.

ჩვეულებრივ 15 მარიამობისთვეს ქვათახევის მონასტრებშიაც ბლომად მივიდა მლოცველი ხალხი. წინა ღამით სალამოს ლოცვა და პარაკლისი გადიხადეს, შემდეგ ძილისპირები, ლოცვის შემდეგ ლალადება, პარაკლისები და შემდეგ ამისა დაიწყეს ლხინები და ქეიფები.

სალოცავადა თუ საქეიფოდ მოსული ხალხი ტფილისიდგან ქართლიდგან და მანგლისის მხრის სოფლებიდგან.

ღამის თევა ძალიან მხიარული იყო. სტუმარ-ყმაწვილებმა გააკეთეს ჩირაღდნები და შუშხუნები, იქ ქართული მაყრული გაიბეს აქ სხვა მშვენიერი ქართული სიმღერები მორთეს, ამაზედ კიდევ ზურნა-დუდუკი და ზედ თამაში, ცეკვა. ყველა ეს ატკბობდა აქ მოსულ მლოცველ ხალხსა.

მ ეთს ლხინში და მხიარულებაში დაგვათენდა კიდეც. ბრწყინვალე მზემ მოანათა ქვათახევის არე მარეს და გაამშვენა ქვათახევის მონასტერი.

გვითენდა ღვთისმშობლობა. წირვის შემდეგ გაიმართა ქეიფობა და თან უსიამოვნებაც მოჰყვა ამას, საუბედუროდ. ჩაერივნენ ზოგი ერთი თავადის შვილები და ისეთ ნაირი ჩხუბები ასტეხეს, რომ საქმე იარაღზედ მიიყვანეს.

კარგი, რომ კიდევ იყვნენ იქ ზოგი ერთი პატიოსანი თავადის შვილები, რომელთაც ცოტად, ზოგიერთა ტყუილი თავადური თავმომწონეობა, დააშოშმინეს, თორემ თქვენი მტერი, რაც აქ მოხდებოდა.

მეც ჩვენი უბედურება ეხლანდელს დროში, რომ ერთი სახალხო თავის შექცევა, თემობა სისხლ დაუღვრელად არ წავა.

მგზავრი.

# უცხოეთი

## ეგვიპტის ამბები

პორტა აცხადებს, რომ ხონთქრის პროკლამაციით მოეთხოვება მხოლოდ არაბი-ფაშას, რომ ქედივის ბრძანებას დაემორჩილოს და ამის ნებაზედ გაისამართლოს; არაბის მოღალატეობა და განდევნილება კი არ იქნება, ამ პროკლამაციაში აღიარებული. — ძნელად გაიგებს კაცი ეხლანდელ აღმოსავლეთის კითხვის მდგომარეობას. ერთი კვირა არაა, რაც ხონთქარმა განდევნილად და მოჯანყედ აღიარა არაბი-ფაშა — დღეს კი რაღამაც შეაცვლევინა ეს პროკლამაცია. — ბუშინ გვეგონა, რომ ავსტრიაც ჯარებს ჩააყენებდა ეგვიპტეში, რადგანაც მას შეურაცხყოფა მიაყენეს, რამოდენიმე აფიცერი და მატროსი დაუტუსაღეს, დღეს კი ავსტრია ანთავისუფლებს, და სისხლის დაუღვრელადაც თავის კაცებს და კმაყოფილდება. — ბუშინ სტამბოლში დაატუსაღეს სასულიერო წოდების პირი, რომელიც ეგვიპტელების მოსაშველებლად სარწმუნოებით ომს აცხადებს, დღეს კი სტამბოლისავე პოლიცია ატუსაღებს რამდენიმე ბერძენთ, რომელთაც ინგლისელებისაგან მინდობილი აქვთ, დაიქირაონ სურსათისა და ხორაგეულის გადასატან-გადმოსატანად რამდენიმე მუშა, მულები და საქონლები. ოსმალეთის მმართებლობა იქითურსაც ატუსაღებს და აქეთურსაც, ე. ი. იმათაც, ვინც ეგვიპტისთვის იღწვიან და იმათაც ვინც ინგლისისათვის. ქედივმა შეადგინა ახალი სამინისტრო. ამ სამინისტროს არაბი წვრილ მოჯანყედ და ადვილდასამშვიდებლად მიაჩნიათ.

ქაირში მცხოვრებთა შუა დიდი ღელვა. 35,000 ფელლახები აგებენ სიმაგრეებს ინგლისელების წინაღმდეგ. აქაური ძველი მოხელეობა (ჩინოვნიკობა) მშვიდობანობის მომხრენი არიან. ზაგიზაგში და მანსურში, სადაც უმთავრესად გროვდება ეგვიპტელების ძალა, სარწმუნოებითი ომი ცხადდება. ზემო ეგვიპტიდამ 20,000 კაცი ჩაეწერა არაბის ჯარში. არაბი-ფაშა ლესსეპს აბრალებს მაინც ხმების გავრცელებას. ვითომ ლესსეპს მიზნად აქვსო მიჰყიდოს ინგლისელებს სუეზის არხიო და ამისათვის არაბიმ საჩუქარი დაუნიშნაო, ვინც ლესსეპს მოკლავსო. ინგლისის ჯარის უფროსს ველსლის კიდევ მოუთხოვია ინგლისიდამ ჯარები. — არაბების მოძრაობა სხვა-და-სხვა ეგვიპტის კუთხეებში ძლიერდება. არაბი-ფაშასთან ნდომობენ მიკედლებას. მახმუდ-ფეხმი-ფაშა დაიჭირა ტყვედ რედში-ფაშამ, პორტსაიდის გუბერნატორმა. რუდში-ფაშა არაბის მხრით არის, მახმუდი კი ინგლისელების. — დიდი ომი ჯერ არსად არ მომხდარა. წვრიმალი შეტაკებანი კი ხშირია. ინგლისელები სჯობნიან, თუ არაბი-ფაშა, ჯერ-ჯერობით, ნამდვილად ვერ გვაცნობებენ გაზეთები და ტელეგრამები. — ინგლისელების ჯარის უფროსისაგან, თუმცა მოდის ხშირი ტელეგრამმები, რომ ყოველ შეტაკებაში მომეტებული მკვდარი, დაჭრილი და ტყვეები არაბელები არიანო, მაგრამ, როგორც გაზეთები ამბობენ, ეს ცნობები ცოტა საეჭვო უნდა იყოსო, რადგან ყველა ტელეგრაფის მავთულები, ფოჩტა ინგლისელების ხელშია და ამისათვის თავის თავზე ქებას უნდა იწერებოდნენო.

—

**ოსმალეთი.** არაბის პროკლამაციებმა მცირე მოქმედება კი არ იქონია ოსმალეთის სასულიერო წოდებაზედ. მაგრამ საქმე იმაშია, რომ თვით ამ წოდებას აღარა აქვს ისეთი გავლენა ოსმალეთში, როგორც ჰქონია ერთ დროში. ოსმალეთის სასულიერო წოდება ერთ დროს დამოუკიდებელი იყო. მას შემდეგ რაც ამ წოდების ჯამაგირი სახელმწიფოსაგან ეძლევა, და ყოველგვარი შემოსავალი, რაც ადრე მათ აკმაყოფილებდა, დღეს ხაზინაში შესდის და სახელმწიფო კონტროლისაგან იჩხრიკება, ამ წოდებას მოაკლდა ფასი და აქედამ გავლენაც საზოგადოებაზედ. — თვით ხონთქრის, აბდულ-ჰამიდის მდგომარეობა სამწუხარო რასმეს წარმოადგენს ამ ჟამად. ცალის მხრით მთელი ევროპა და მეორეს მხრით თავის ქვეშევრდომთა მდგომარეობა მოსვენებას არ აძლევენ მას: — ხაზინა დაცარიელებული და სახელმწიფოს ყოველის მხრით დამხობას უქადიან. — ამ ინგლისელების მოქმედებათ უარეს განწირულებაში ჩააყენეს ხონთქარი. ვერავითარ გარდაწყვეტილებაზედ ვერ დამყარებულა ის. დღეს ერთს გამოაცხადებს, და ხვალე სხვას. ხან გარდასწყვეტს, რომ არავითარ მონაწილეობას არ იღებს ეგვიპტეს დამშვიდებაში, შემდეგ კი, გაიხედავ, და რამდენიმე ჯარს გაამხედრებს იმავე ეგვიპტესაკენ. — როგორც ვსთქვით სასულიერო წოდებაზედ დიდი გავლენა აქვს არაბის პროკლამაციებს. — სტამბოლში თითქმის მუდამ დღეობით ატუსაღებენ ამ წოდების პირთა რომელნიც არაბის მომხრეობას ჰქადაგებენ. — ადგილობრივი მთავრობა თუმცა ძალიან სცდილობს დაახშოს ეს გრძნობანი მცხოვრებლებში, მაგრამ უძნელდება ამ მიზნის მიღწევა, რადგან არაბის დიდი თანამგრძნობელები და მომხრენი ჰყავს საზოგად ყოველ წოდებაში ოსმალეთში და განსაკუთრებით სტამბოლში.

## ტფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს** გარალევიჩი და ლისიცევი — შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

---

გამხადეს ჩემი სველი ტანისამოსი. ბუხარში ღუღუნებდა ბრწყინვალე ცეცხლი. ჰაერში ტრიალებდა მშვენიერი სურნელება. მე ვიჯექ ბალიშზე ცეცხლის პირას, შეხვეული რაღაც ფერის ნაჭსოვ შალეულში. ჩემს ვვერდით იდგა დედაკაცი მინით ხელში, რომელიც ოქროს ფერის წყლით.

მან მიირბინა ჩამოფარებულ ფარდასთან, ასწია და დაიყვირა:

— მოდი, ლორენცო! ბონზედ მოდი!

ყმაწვილი კაცი შემოვიდა და გაოცებულის თვალებით დამაშტერდა.

— რა ლამაზია! — ჩუმად წარმოსთქვა იმან.

— ღალიე კიდევ, საყვარელო, მითხრა დედაკაცმა. ეს იყო ლორენცის მამის მეორე ცოლი, სახელად ერქვა ზარზანელა.

მე შევსვი სურნელოვანი სასმელი და ისე მეჩვენა, თითქო თბილი მზის სხივი მოადგა ჩემს გულსა.

— გმადლობ, წავიჩურჩულე მე.

ზარზანელა შეეხო ხელით ჯერ კიდევ სველ ჩემს თმას, მერე დამალა, გამოიღო ცეცხლიდან მაშა და მიჰყო ხელი გამშრალებას და დახვევას. შემდეგ სიცილით გარდამიწია თავი და მაკოცა შუბლზედ.

ყმაწვილი კაცი ჩუმად და დინჯად მყლაპავდა თვალით.

მე მივუბრუნდი ზარზანელას... მაგრამ ის კიდეც გაქრა... დავრჩი მარტო ლორენცისთან.

ის ისევ ისე მიცქეროდა. მორცხობით დავიხარე ძირს თვალები.

ლორენცო სცხოვრებდა მარტოდ ამ ბნელ პონალაცის სასახლეში. ძალიან იშვიათად ხედავდა თავის მამას. იმას ხშირად დაიპყრობდა ხელში მელანხოლია. საწყალი ზარზანელა ცდილობდა ყოვლის ღონის-ძიებით გაერთო რითიმე. სჩანს თვით განგებამ მიმიყვანა მე იმათთან.

ლორენცოს თითქოს არასოდეს არ ენახა დედაკაცი. მისი თვალები ცნობის-მოყვარულობით მჩხრეკამდნენ მე. მან გადმოსდგა ჩემკენ ნაბიჯი.

— რაღა მადლობა გითხრათ, ბატონო! — ვუთხარ მე.

— ნურას ამბობ! — მითხრა მან მრისხანედ.

მე ასე მეგონა გავაჯავრე რითმე და თავი ჩაველუნე. ლონიერად დამიჭირა მან ორივ ხელები, დაიჩოქა ჩემ წინ და მამიახლოვა თავის სახე.

— შენი სახელი ტომაზაა? — მკითხა მან.

— დიაღ, ბატონო.

— არ გინდა შემიყვარო? სთქვი?!

მე ვიგრძენ გულთან ცეცხლში გალღვებული რკინის ძალა. ოჰ! მე ვიყავ როგორ გაგიჟებული!.. სწრაფლად მივიხიდე გულთან და ჩემი შემაძრწუნებელი თვალები დავფარე კოცნით.

ლორენცომ დაიკვნესა. მე მეგონა, როგორც დაბალმა კაცის შვილმა, ჩემ უხერხულო გარდახვევნაში, ვატკინე რამ.

— კიდევ ტომაზა! — წაიჩურჩულა მან.

მაგრამ მე მოვინდომე კეკლუცობა. ამ მშვენიერ მორთულ ოთახში მყოფი... ჩემს ფეხთ-წინ დაჩოქილი დიდის კაცის შვილი... მე საწყალი მურანის ქალი... აღარ მახსოვდა ჩემი თავი...

მალე ისევ მოველ გონს, დედოფლურის ბრძანებლობით ვსთხოვე მოერთმია ჩემთვის სარკე.

წმიდაო მადონნა, რა ცვლილებაა! უთუოდ ზარზანელა იყო ჯადოქარი. მე დავინახე ტომაზა — მაგრამ რა განსხვავებაა! საბრალო კენჭი მურანოსი გარდაიქცა ვენეციის ალმაზად.....

მე შემიყვარდა ის!....

ნ. ერ—სა.

(შემდეგი იქნება)

სამშაბათს. მიწკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასხუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაზაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

ოთხშაბათს. ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასხუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაზაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

ხუთშაბათს. ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასხუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაზაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

პარასკევს. მიწკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასხუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაზაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

შაბათს. ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასხუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაზაევი—ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი


ა. გ. მირზაშვილი ამით აცნობებს საზოგადოებას რომ პირველს ენკენისთვიდამ ის ხსნის საკუთარად პანსიონს და მოსამზადებელ კლასებს. პანსიონში მიიღებიან სხვა-და-სხვა სასწავლებლების შეგირდებიც. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდამ. დაწვრილებითი ცნობის შეტყობა კლასის და პანსიონის კანცელარიაში ავჭალის ქუჩაზე, გიმნაზიის მახლობლად, დავით პავლიაშვილის სახლებში, ნ ბ. ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში. (4—1)

## გორში

ნადის ახლო იყიდება საუკეთესო სახლის ალაგი. ფასზე ეკითხოს ტფილისში ზაქარია იოსების-ძე მამაცოვს. (3—1)

## მაღაზია

სალიანის თევზეულისა

უცხადებს საზოგადოებას, რომ მან ახლად მიიღო სალიანში მარტში დაჭერილი თევზეული საგანგებოდ მომზადებული და იყიდება წვრილადაც და პარტიითაც. აქვე იყიდება ყოველ დღე მოხარშული თევზეული. მაღაზია იმყოფება თამამშოვის ქარვასლის ქვეშ. (12—10)

გ. ოსულიანისა და რ. რუცოლდის პანსიონში და პროგიმნაზიის კურსის სასწავლებელში იღებენ ყმაწვილების პირობით ყველა საშუალო სასწავლებლებში მოსამზადებლად. ფასი ზომიერია.

ადრესი: მიხაილოვის ქუჩა, ბურგენბეგოვის სახლებში, № 81-ი. (5—3)

ახალი ქართული
## ქარაბაღინი
იყიდება ტფილისში: შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; ქუთაისში: მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.
ფასი ყდიანის ერთი მანეთი.

დაიბეჭდა და იყიდება
## ყარამანიანი
მეთხუთმეტე ნაწილი
მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ პირველის ნაწილიდამ ვიდრე უკანასკნელ ნაწილამდე მელიქიშვილის სტამბაში ბატონ ნიკოლოზ კობალაძესთან.

ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЙ ЖУРНАЛЪ
## ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ
Издаваемый въ г. Тифлисѣ
(годъ второй)
Открыта полугодовая подписка на журналъ съ 1 Іюля 1882 г. по 1 января 1883 года
Цѣна за полгода 6 руб.
Кромѣ того можно подписаться на 3 м-ца 3 р. 20 к. на 1 м-цъ 1 р. 20 к. Подписка принимается съ 1 числа каждаго мѣсяца и не далѣе конца года.
Полугодовые подписчики могутъ вносить при подпискѣ 3 р. и черезъ мѣсяцъ еще 3 руб.
Подписка принимается въ г. Тифлисѣ въ Администраціи журнала, Солодакская улица д. № 10 и въ Москвѣ и въ С.-Петербургѣ въ книжныхъ магазинахъ И. И. Анисимова. (6—5)

ვმღლევ დღიურად და თვეობით იაფათ მებლირიოვან ოთახებს, სახელად
## „ლივადია"
გოლოვინის პროსპექტზედ. (20—17)

ნაფიცი ვექილი
სერგეი ვასილის ძე
## ჩემესოვი
გადავიდა გოლოვინის პროსპექტზე მატველოვის სახლებში (6—4)

დაიბეჭდა და იყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში
## სახსოვარი
ბატონიშვილის ალექსანდრეს-მის ირაკლის გარდაცვალებაზე
შეკრებილი და გამოცემული ჩ. ჭიჭინაძისაგან
ფასი ხუთი შაური.

ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი
## მოთხრობანი
წიგნი მეორე.
იყიდება ტფილისში: შავერდოვთან, ჩარკვიანთან და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაზის პირ-და-პირ).
ქუთაისში: ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.
გორში: მ. ქართველიშვილთან.

დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი სამეხურო წიგნი
## მწყემსის სტვირი
ლექსები, სიმღერები და ზღაპრები
ცნობის-მოყვარე ყმაწვილთათვის სკოლაში და შინ საკითხავად [illegible]
გამოცემა გ. მ. შავერდოვის გაზეთის სასარგებლოდ.
ფასი ერთი აბაზი (10—9)

დაიბეჭდა და იყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში
## მამულის
საერთო მფლობელობაზე
თხზულება
ანტონ ფურცელაძისა
გამოცემული
ზაქარ ჭიჭინაძისაგან.
ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

დაიბეჭდა, გამოვიდა და იყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში
## იმპრ-ანდრონიკა
კრიტიკისაგან და სხვებისაგან გამოქვეყნილი თ. რ. ერისთავისა.

## იყიდება
ტფილისის წიგნის მაღაზიებში ახლად გამოსული რუსულ ენაზე წიგნი.
Грузинскія крестьянскія грамоты крѣпостные и судебные акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Матеріалы для исторіи древной Грузіи).
сост. Д. П. Пурцеладзе.
ქუთაისში იყიდება შილაძეების მაღაზიაში.
ფასი ერთი მანეთი

## ტაქსის
საგზაოზე სარგებლობისა, რომელიც იღებიან ფოშტის ზამზებში, 1 ენკენისთვიდამ 16 აგვისტოდამ 1 სექტემბრამდის.

| | | |
|---|---|---|
| მამომცხვარი პური: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5 |
| მეორის „ | —1 გირ. | 3 |
| მესამის „ | —1გირ. | |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვ.: | | |
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | 5 |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 |
| ჭურის-მამის პური: | | |
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 6 |
| მეორის „ | —1 გირ. | 5 |
| მესამის „ | —1 გირ. | 4 |
| ძროხის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 8 |
| მეორის „ | —1 გირ. | 7 |
| სუკი — | —1 გირ. | 14 |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 9 |
| ღორის ხორცი: | | |
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | |
| მეორის „ | —1 გირ. | |

გამოვიდა ცალკე წიგნად
დრამა
## სამშობლო!
იყიდება შავერდოვის საამბოში.
ფასი 60 კაპ. (20—16)

ბიბლიოგრაფიული განცხადება.
ბუნების კარი, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი იაკობ გოგებაშვილისა, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაბეჭდილი მესამე შესწორებული გამოცემა და იყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, ქ... ფასი თითოეული მანეთი. სასწავლებლებს აქ ...ზე მეტს, რომელნიც იღებენ ნაღდ ფულზედ ერთად თითოეული გზაზე მაღაზიისა, ანუ მომეტებულს, დაეთმობა ...; გარდა ამისა გზით-გზით გაზავნიან წიგნი მაგრამ ცალობით ... უნდა დაემატოს სამი შაური.

კარტა საქართველოსი, მეორე შევსებული გამოცემა; იყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ... მაგრამ თითოეულს ... შემატება ...